შპს "სტარ ნეთვორქსის“ წილის 100%-ის შპს „აირკონექტის“ მიერ შეძენაზე, ასევე შპს "სტარ ნეთვორქსის“ და შპს „აირკონექტის“ შერწყმაზე თანხმობის მიცემის საკითხის განხილვის შესახებ

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში “კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიას 2017 წლის 20 მარტს (კომისიაში რეგისტრაციის №შ-6/2528-17 20.03.2017) ერთობლივი წერილით მიმართეს შპს "სტარ ნეთვორქსმა“ (ს/კ440886490) და შპს „აირკონექტმა“ (ს/კ 400065683), შპს "სტარ ნეთვორქსის“ წილის 100%-ის შპს „აირკონექტის“ მიერ შეძენაზე, ასევე შპს "სტარ ნეთვორქსის“ და შპს „აირკონექტის“ შერწყმაზე კომისიისაგან წინასწარი თანხმობის მიღების მოთხოვნით.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შერწყმის ან წილის შეძენის განზრახვის შესახებ კომისიას უნდა ეცნობოს შერწყმის ან შეძენის განხორციელებამდე. შეტყობინების ვალდებულება ეკისრება ავტორიზებულ პირს, რომელიც მონაწილეობს შერწყმაში ან რომლის წილის შეძენაც ხდება.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 27-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შერწყმის ან შეძენის თაობაზე ავტორიზებული პირის სრულყოფილი შეტყობინების მიღებიდან 15 დღის ვადაში გასცეს თანხმობა შერწყმაზე ან შეძენაზე ან ბაზრის შესაბამის სეგმენტზე არსებულ კონკურენციაზე შესაძლო გავლენის მოხდენის დადგენის მიზნით მიიღოს გადაწყვეტილება შერწყმის ან შეძენის გამოკვლევის თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს "სტარ ნეთვორქსის“ და შპს „აირკონექტის“ მიერ (კომისიაში ერთობლივი წერილის რეგისტრაციის №შ-6/2528-17 20.03.2017) კომისიაში წარმოდგენილ იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია:

- შპს "სტარ ნეთვორქსის“ საფირმო სახელწოდების, საქმიანობის სახისა და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- შპს "სტარ ნეთვორქსის“ დამფუძნებლების და მისი წილობრივი მონაწილეობის შესახებ;
- შპს "სტარ ნეთვორქსის“ შემოსავლების შესახებ;
-შპს "სტარ ნეთვორქსის“ ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ;
-შპს „აირკონექტის“ საფირმო სახელწოდების და სარეგისტრაციო მონაცემების შესახებ;
- შპს „აირკონექტის“ დამფუძნებლების და მისი წილობრივი მონაწილეობის შესახებ;
- შპს „აირკონექტის“ შემოსავლების შესახებ;
- შპს აირკონექტის“ ურთიერთდამოკიდებული/აფილირებული პირების შესახებ;
- შპს „აირკონექტის“ და შპს "სტარ ნეთვორქსის“ აბონენტების შესახებ.

შპს „სტარ ნეთვორქსი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, შპს „სტარ ნეთვორქსის“ დირექტორი და 30%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი ლევანი ომაძე. წილის 25%-ის მფლობელია ფიზიკური პირი იაგო ომაძე და 45%-იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი დავითი კერესელიძე.

კომისია ასევე აღნიშნავს, რომ კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, ფიზიკური პირი ლევანი ომაძე არის **შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440889200)** დირექტორი და **100%**-იანი წილის მფლობელი, ხოლო ფიზიკური პირი იაგო ომაძე არის არის **შპს „გრინ ნეთვორქსის“ (ს/კ 440887391)** დირექტორი და **100%**-იანი წილის მფლობელი.

შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440889200) წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.1. ადგილობრივი დაშვების (სადენიანი) ქსელითა და/ან (სადენიანი) ქსელის ტერმინალური საშუალებებით უზრუნველყოფა

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

ოპტიკურ-ბოჭკოვანი ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის ტერმინალური საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

ოპტიკური ქსელით ინტერნეტ მომსახურება

WiFi

შპს „გრინ ნეთვორქსი“ (ს/კ 440887391) წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის **45%-**ის მფლობელის ფიზიკური პირის დავითი კერესელიძის აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით არ დგინდება.

შპს „აირკონექტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ პირს და მას ავტორიზაცია გავლილი აქვს ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების შემდეგ სახეებზე:

A.F.2. ადგილობრივი დაშვების (უსადენო) ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

რადიოსიხშირული, ადგილობრივი (სააბონენტო) დაშვების ქსელის შესაბამისი ელემენტებისა და საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

A.F.3. ძირითადი საკომუტაციო ქსელის შესაბამისი ელემენტებითა და საშუალებებით უზრუნველყოფა

პაკეტური საკომუტაციო საშუალებების ფუნქციური რესურსებითა და სიმძლავრეებით უზრუნველყოფა.

B.F.2. ინტერნეტ მომსახურება

WiFi

კომისიის უწყებრივი რეესტრის მონაცემების და მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრის მონაცემების მიხედვით, **შპს „აირკონექტის“** დირექტორი და **100%-**იანი წილის მფლობელია ფიზიკური პირი დიმიტრი გოგოხია.

კომისია აღნიშნავს, რომ **შპს „აირკონექტის“** დირექტორის დიმიტრი გოგოხიას აფილირებულობა სხვა ავტორიზებულ პირებთან კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მიხედვით არ დგინდება.

კომისიის საერთო სტატისტიკურ ბაზაში არსებული ინფორმაციის მიხედვით **შპს „აირკონექტის”**, **შპს „სტარ ნეთვორქსის“**, **შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440887391) **და შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440889200) შემოსავლები, აბონენტების რაოდენობა და შესაბამისად მათი ხვედრითი წილები <u>ფიქსირებული საცალო ინტერნეტ სააბონენტო</u> მომსახურებიდან მოცემულია ცხრილი =1-ში გეოგრაფიული არეალების მიხედვით:

ცხრილი =1

	მიღებული შემოსავლები 2016 წლის ოქტონბრის თვიდან 2017 წლის იანვრის თვის ჩათვლით პერიოდში		ინტერნეტ აბონენტების რაოდენობა 2017 წლის 1 თებერვლის მდგომარეობით	
	ლარი	ხვედრითი წილი %	ცალი	ხვედრითი წილი %
ახალქალაქის რაიონი	**366,199**		**4,527**	
აირკონექტი	**63**	**0.02%**	1	**0.02%**
ბათუმი	**3,737,591**		**39,379**	
აირკონექტი	**1,191**	**0.03%**	11	**0.03%**
ბორჯომის რაიონი	**319,845**		**3,498**	
სტარ ნეთვორქსი	**1,125**	**0.35%**	10	**0.29%**
გრინ ნეთვორქსი - (440887391)	**3,160**	**0.99%**	41	**1.17%**
თბილისი	**41,070,081**		**325,872**	
აირკონექტი	**8,593**	**0.02%**	91	**0.03%**
კასპის რაიონი	**301,594**		**3,699**	
აირკონექტი	**29,694**	**9.85%**	338	**9.14%**
საჩხერის რაიონი	**178,591**		**2,393**	
აირკონექტი	**31,142**	**17.44%**	392	**16.38%**
ფოთი	**743,364**		**9,297**	
აირკონექტი	**674**	**0.09%**	9	**0.10%**
ქარელის რაიონი	**256,752**		**2,877**	
სტარ ნეთვორქსი	**28,919**	**11.26%**	270	**9.38%**
გრინ ნეთვორქსი - (440887391)	**12,275**	**4.78%**		**4.62%**
გრინ ნეთვორქსი - (440889200)	**427**	**0.17%**	133	**0.28%**
ქედის რაიონი	**13,947**		**175**	
აირკონექტი	**1,074**	**7.70%**	13	**7.43%**
ჭიათურის რაიონი	**200,396**		**2,540**	
აირკონექტი	**95**	**0.05%**	2	**0.08%**
ხაშურის რაიონი	**547,684**		**7,485**	
სტარ ნეთვორქსი	**4,897**	**0.89%**	43	**0.57%**
გრინ ნეთვორქსი - (440887391)	**15,941**	**2.91%**	201	**2.69%**
გრინ ნეთვორქსი - (440889200)	**751**	**0.14%**	16	**0.21%**
ხელვაჩაურის რაიონი	**437,483**		**4,058**	
აირკონექტი	**7,134**	**1.63%**	92	**2.27%**
ხობის რაიონი	**103,703**		**1,020**	
აირკონექტი	**4,075**	**3.93%**	48	**4.71%**

კომისიის ავტორიზებულ პირთა უწყებრივი რეესტრის მონაცემების მიხედვით დგინდება **შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440887391) და **შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440889200) აფილირებულობა **შპს „სტარ ნეთვორქსთან“**, რადგანაც **შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440887391) დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი ლევანი ომაძე არის **შპს „სტარ ნეთვორქსის“** დირექტორი და 30%-იანი წილის მფლობელი. ასევე, **შპს „გრინ ნეთვორქის“** (ს/კ 440889200) დირექტორი და 100%-იანი წილის მფლობელი იაგო ომაძე არის **შპს „სტარ ნეთვორქსის“** დირექტორი და 25%-იანი წილის მფლობელი (ცხრილი =2).

ცხრილი =2



კომისია ასევე აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული აფილირებული ავტორიზებული პირები ბაზარზე ერთობლივად საქმიანობენ, ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებული მდგომარეობა უცვლელი დარჩება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 100%-ის შპს „აირკონექტის“ მიერ შეძენის, ასევე შპს „აირკონექტის“ და შპს „სტარ ნეთვორქსის“ შერწყმის შემთხვევაში, აღნიშნული ტრანზაქცია შეიძლება მიჩნეულ იქნეს თავსებადად ელექტრონულ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოსთან.

კომისიამ მიიჩნია, რომ არ არსებობს შპს „სტარ ნეთვორქსის“ წილის 100%-ის შპს „აირკონექტის“ მიერ შეძენაზე, ასევე შპს „აირკონექტის“ და შპს „სტარ ნეთვორქსის“ შერწყმაზე წინასწარი თანხმობის მიცემის დამაბრკოლებელი გარემოებები.

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე, 26-ე და 27-ე მუხლების შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1.მიეცეს თანხმობა შპს „სტარ ნეთვორქსს“, შპს „სტარ ნეთვორქსის“ (ს/კ 440886490) წილის 100%-ის შპს „აირკონექტის“ მიერ შეძენაზე;

2. შპს „აირკონექტის“ და შპს „სტარ ნეთვორქსის“ შერწყმის შემთხვევაში, შპს „აირკონექტმა“ და შპს „სტარ ნეთვორქსმა“ უზრუნველყონ “ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების შესაბამისად გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების დაცვა;

3. განემარტოს შპს „სტარ ნეთვორქსს“, რომ ამ გადაწყვეტილების შესაბამისად, წილის მფლობელის ცვლილების შემთხვევაში, შპს „სტარ ნეთვორქსი“ ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე კომისიას აცნობოს ცვლილების განხორციელებიდან 7 სამუშაო დღის ვადაში;

4. დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს ამ გადაწყვეტილების შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ დაუყოვნებლივ გადაგზავნა (ი. ხარებავა);

5. გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი დამოწმებული ასლის შპს „აირკონექტისათვის“ და შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ ჩაბარების დღიდან;

6. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), ამ გადაწყვეტილების შპს „აირკონექტისათვის“და შპს „სტარ ნეთვორქსისათვის“ ჩაბარების დღიდან;

7. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტს (დ. გოგიჩაიშვილი).

კომისიის თავმჯდომარე	ვახტანგ აბაშიძე
კომისიის წევრი	ელისო ასანიძე
კომისიის წევრი	გიორგი ფრუიძე
კომისიის წევრი	კახა ბექაური
კომისიის წევრი	მერაბ ქათამაძე